**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**უმაღლესი საარჩევნო კომისია**

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №26

22/09/2024 **ქ. ბათუმი**

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად ა(ა)იპ-ის „ქალის როლი საზოგადოებისათვის“ რეგისტრაციის შესახებ**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 46-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 74-ე მუხლის მე-12 პუნქტის და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა(ა)იპ „ქალის როლი საზოგადოებისათვის“ მიერ 2024 წლის 20 სექტემბერს წარმოდგენილი განცხადების (უსკოში რეგისტრაციის №01-26/93) საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

**1.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს და მიენიჭოს დამკვირვებლის სტატუსი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებულ ყველა დონის საარჩევნო კომისიაში, ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას ა(ა)იპ „ქალის როლი საზოგადოებისათვის“.

**2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

**3.** ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

ტარიელ გოგიტიძე

კომისიის მდივანი